

1918  
2

მან ერთაწმინდელი.

სიკვდილი  
ჩრდილ რეთუი.

დრამატული ეტიული ერთ მოქმედებად  
(კადასასლეებულთა ცხოვრებად).


გამოცემა № 1. ტ. კორძაიას-მიერ.

თბილისი.

ელექტრო-მბეჭ. სტ. არ. კერესელიძისა. გრ. № 84  
1912 წ.

სეზმან ერთაწმინდელი.

891:9-1  
5  
1-51



*უ. ყ. ს. ჯ.*

სიკვდილი

ჩრდილ რეთუი.


დრამატული ეტიული ერთ მოქმედებად

(გადასახლებულთა ცხოვრებიდან).

1912

ნომ.	706
წილი	16
გამოცემა №	1.

Настоящая пьеса, под заглавием „Смерть на Сѣверѣ“, соч. С. Эртацминдели, разрѣшена Намѣстникомъ ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА на Кавказѣ, для представленія на сценѣ края. (Отзывъ Канцелярїи за № 20989). Октября 15 дня, 1911 г. гор. Тифлисъ.



თბილისი

ელექ-მბეჭ. სტამბა არ. კერესელიძისა, გოლოვინის პროსპ.

1912 წ.



## მომქმედნი პირნი.

- 1) დათიკო ცრემლიშვიდი... 18 წლისა.)
- 2) გიორგი. დათიკოს ამხანაგი 20 წ. } გახასხასებულნი
- 3) სახლის-პატრონი... (ქალი).
- 4) ზღლიციელი.



(სცენა წარმოადგენს პატარა ოთახს. მარცხნივ კარით, პირდაპირ პატარა თანჯრით. თანჯრის გვერძე უბრალო მაგიდა სდგას, ზედ ანთებული ლამფა, გრაფინით წყალი და სტაქანი სდგას. იქვე აწყვია რამდენიმე შუშა წამლებით. ორი უბრალო სკამი სდგას. მარჯვნივ ტახტია ლოგინით, რომელშიაც მომაკვდავი დათიკო წევს, რომელსაც ხანდახან ახველებს. გვერძე გიორგი უზის და უელის. მარცხენა მხარეს ერთი საბანი და მუთაქა (იატაკზე). გიორგისა. გარედ საშინელი ქარი ჰქრის განუწყვეტლივ. ზარებსა რეკავენ ჯერ ნელა და შემდეგ ჩქარ-ჩქარა. აღდგომის ღამეა. თარღის ახდისას დიდი პაუზა).

### გამოსვლა პირველი.

#### დათიკო და გიორგი.

**გიორგი.** უჰ! რა ცივა ამ საოხროში: ნამდვილ საყინულესა ჰგავს აქაურობა. ეს ჩრდილოეთის ქარი ჰგავს გახეთქავს ქვასა. (დადის. ზეუზა.) საწყალ დათიკოს ძლივს ჩაეძინა.

**დათიკო.** წყალი... გიორგი წყალი... (გიორგი დასაუვიანებს.)

**გიორგი.** მე-კი მეგონა, რომ უკვე ჩაგეძინა.

**დათიკო.** ოჰ! გიორგი როგორა ხარ?..

**გიორგი.** შენ თითონ როგორა ხარ ჩემო და-  
თიკო, თორემ მე არა მიჭირს-რა.

**დათიკო.** ოჰ, ეს რა სასიამოვნო ხმა ისმის.  
(**გიორგის ხელს დაუჭყრს.**) გესმის გიორგი ის ხმები?

**გიორგი.** რომელ ხმებზე ლაპარაკობ?

**დათიკო.** აი ის, ცის წიაღში აღმტყორცნი  
ხმები. ხომ გესმის გიორგი? აბა ყური დაუგდე?..

**გიორგი.** ეს ხარების ხმაა; ხარებსა რეკავენ,  
ხვალ აღდგომაა.

**დათიკო.** რა მშვენივრად უკრავენ. ხომ შენც  
გესმის გიორგი? ...მაშ ხვალ აღდგომაა?

**გიორგი.** ჰო, აღდგომაა. იცი რა გითხრა და-  
თიკო. დღეს ცოტა ფული მივეცი ჩვენ სახლის-  
პატრონსა, რომ კვერცხები მოგიხარშოს და პასკა  
იყიდოს.

**დათიკო.** აბა რად გინდოდა ჩემო გიორგი?  
შენ მთელი დღეები მშიერი დადიხარ და მე-კი პა-  
სკები და კვერცხები უნდა მაჭამო? არ მინდა გიორგი-  
ჯან, ნუ მოიტან.

**გიორგი.** ოღონდ შენ კარგათ იყავი და მე არა  
მიჭირს-რა. (პაუზა.) გახსოვს დათიკო პატარაობისას  
ჩვენ სოფლის ეკლესიის გალავანში რა ამბავი გვქონდა  
ხოლმე ამ დროს?

**დათიკო.** (ხაღვლიანად.) გახსოვს... როგორ არ

შახსოვს. წითელ კვერცხებს, რომ დავკრავდით ხოლმე... ეჰ! რა ხარ სიყმაწვილევ!.. განა არის რამ კიდევ ქვეყანაზედ, რომ შენ შეგედაროს?.. დედაჩემი, რომ ჩამაცმევდა ახალ ტანთ-საცმელს და გამგზავნიდა ხოლმე დილის ცის-კარზე. ოჰ, რა კარგი იყო ხოლმე ის წუთები ჩემთვის. (ჰაუზა.) საბრალო დედაჩემო... რამდენი ტანჯვა მოგაყენე შენმა უღირსმა და ცხოვრების ურჩმა შვილმა. (ჰაუზა.) ნეტავი მღირსებიყოს განთავისუფლება, რომ მოვსულიყავი მოგხვევიყავ ჩემო მშობელო და მეთხოვნა პატიება; რომ მაგ სიბერის დროს მარტოთ დაგტოვე. აქედან, ამ შორეულ ქვეყნიდან სიკვდილის ჟამსა ამასვე გთხოვ, ამასვე გეაჯები...

**გიორგი.** არა უშავს-რა ჩემო დათიკო, შენ გული მაგრათ შეინახე. აი სულ ახლო ხანში განიკურნები, — შეიძლება მალეც გაგვანთავისუფლონ და წავალთ სამშობლოში, ვნახავთ ჩვენ მშვენიერს, ბუნებით შემკულს მხარეს. (დიდი ჰაუზა. დათიკო გაშტერებით შესტქერის კედელსა და თან ხელ-ხელა დგება. გიორგი შეკშეულა.)

**დათიკო.** დედაჩემი...

**გიორგი.** სადა დათიკო?

**დათიკო.** იქ ვერას ხედავ?

**გიორგი.** აქ არავინ. არის. დაწექი, მოისვენე.

**დათიკო.** შეხედე... შეხედე როგორ გამოუწვდია ჩემკენ ხელები. ხედავ როგორ მეაღერსება? შეხე-

დე როგორ აღერსიანად მილიმის, თავისკენ მიწვევს...  
ჰსურს მომეხვიოს. ჰხედავ ჩვენ სოფლის ვენახებს?..  
...ღმერთო ჩემო! ჰხედავ მტკვრის-პირას როგორ დარ-  
ბის დედა-ჩემი თმებ-გაწეწილი ის დამეძებს... დამ-  
ტირის... ოჰ გიორგი! გიორგი! ხომ გითხარი, რომ  
არ შეგეტყობინებინა ჩემი ავად-მყოფობა? რად მის-  
წერე? მაშ ეხლა საბრალო დედაჩემმაც იცის?.. ოჰ  
დედავ!.. დედავ!.. გაჰქრა... აღარაფერი სჩანს...  
თვალთ მიბნელებდა.

**გიორგი.** აქ არავენ არის ჩემო დათიკო და  
აბა რას შესცქერიხარ დაღვრემილ კედლებს? დაწე-  
ქი, მოისვენე (აწვეხს.).

**დათიკო.** რად მისწერე? რად გაავებინე? ცო-  
დოა ვერ აიტანს.

**გიორგი.** ნუ გეშინიან. მე არაფერი არ მიმი-  
წერია.

**დათიკო.** მაშ ის რა იყო? ჯერ მეაღერსებო-  
და, შემდეგ კი დარბოდა თმებ-გაწეწილი.

**გიორგი.** არაფერია. ეგ მხოლოდ შენი გონე-  
ბის წარმოდგენაა. აქ არაფერი სჩანს და არც არა-  
ვენ ყოფილა. მოისვენე. კარგათ გახდები, წაიოთ  
სამშობლოში და ნახავ სულ-ყველას.

**დათიკო.** მერე მეღირსება-კი სამშობლოში  
დაბრუნება?.. ადამიანი სანამ ცოცხალია, განა  
ეღირსება მას განთავისუფლება? ...ჩემი სიცოცხლის  
წუთები უკვე მიიღულა ჩემო გიორგი; მე ამას

კარგათა ვგონობ. (დიდი ზაუსა.) საბრალო დედა-ჩემი, რომ გაიგებს ჩემს ამბავსა, კკუიდან შეიშლება. საბრალო...

**გიორგი.** (იქით.) ეჰ, რა იცი შე საბრალოვ, რომ დედაშენი უკვე ცივ სამარეში განისვენებს. (ზაუსა.).

**დათიკო.** შენ რომ გაგანთავისუფლებენ და წახვალ იქ, იქ ჩვენს შხარეში... (გულ-აჩუკებუღი.) გეხვეწები, გემუდარები მიდი დედა-ჩემთან, გადაპკოცნე ჩემ მაგიერად და უთხარი, რომ სიკვდილის წინა წუთებშიც შენ გიგონებდა, შენს პატროსანს სახელს ეამბორებოდა და შენი წმინდა სიყვარული სამარეშიაც თან ჩაიყოლა-თქო... ოჰ! გიორგი გული მიწუხდება, წყალი დამალევიწე, წყალი...

**გიორგი.** წამალი დალიე დათიკო. ეს ვგონებ კარგი წამალია. ექიმმა ეს გამოგიწერა და იმედიც მომცა: ჩქარა კარგათ გახდებოა. (წამალს კავზზე უსხავს და უნდა დააღუვიანოს.) დალიე.

**დათიკო.** არ მინდა გიორგი. წყალი დამალევიწე, ყელი მიშრება.

**გიორგი.** ეს დალიე დათიკო კარგათ გაგხდის.

**დათიკო.** არ მინდა, მწარეა. სულ-ერთია: ეგ ვერაფერს ვერ მიშველის... მე მესმის ყორნების ჩხვილი, რომელნიც უკვე თავს დამტრიალებენ. წყალი გიორგი, წყალი დამალევიწე. (გიორგი დააღუვიანებს წყალსა.) არ გესმის გარეთ რა მეჯლისი აქვთ



გამართული ავ-სულთ? ხომ ხედავ ტარტაროზები როგორ უვლიან ფერხულს. აი, აი ყური დაუგდვ! გესმის როგორ ხარხარებს დემონი? აბა შეხედვ ფანჯარაში: (ანაშენებს ფანჯარისაკენ.).

**გიორგი.** ნუ გეშინიან დათიკო: იქ არაფერია; ის ქარის ზუზუნია. გარეთ საშინლადა ჰქრის ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი. შენ დამშვიდებული იყავი, დაიძინე, არ შეგცივდეს. (საბანს უსწორებს.) შავ ფიქრთა ტალღებს ნუ გაჰყვები. ის მხოლოდ ბუნების ძალთა ხმაურობაა.

**დათიკო.** აი, გესმის იმათ ხარხარში, როგორ მკაფიოდ მოისმის: „ნულარაფრის იმედი ნუ გაქვსო“. აი, აი ხომ გესმის?..

**გიორგი.** ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას ჩემო დათიკო. იმედს ნუ ჰკარგავ სიკოცხლისაკენ.

**დათიკო.** მართალია ჩემო გიორგი იმედი არ უნდა დაჰკარგოს კაცმა—რადგანაც იმედი უკვდავია ადამიანისათვის—მაგრამ მე უკვე ვგრძნობ სიკვდილის მოახლოვებას, და აბა რილას იმედი უნდა მქონდეს?

**გიორგი.** ბევრი ლაპარაკი უფრო დაგასუსტებს დათიკო. მოისვენე, სჯობიან დაიძინო. სიკვდილს რა საქმე აქვს შენთან.

**დათიკო.** შენც მოისვენე გიორგი, დაწექი. აი რამდენი ხანია თითქმის სულაც არა გძინებია.

**გიორგი.** მე არა მიქირს-რა, ჩემთვის ნუ დარდობ, შენ კარგათ იყავი.

**დათიკო.** გებვეწები... თუ ხათრი გაქვს. ცოდო ხარ შენცა, დაწეკი.

**გიორგი.** კარგი კარგი დავწვები; ოღონდაც შენ კარგათ იყავი და მოსვენებით.

**დათიკო.** ნუ გეშინიან, მეც მოვისვენებ. (დიდი ჰაუზა. გიორგი გაეხვევა თავის ღოგინში.).

ჩემო სამშობლოს მთის მწვერვალებო,  
და მთის ძირას მოჩუხჩუხე ნაკადულებო;  
ნუ თუ, უცხო მხარეს ისე უნდა დავიმარხო,  
რომ უკანასკნელად ველარა გნახო?..

(ჰაუზა.) ისიც არ დაგავიწყდეს ჩემო გიორგი დილას, რომ გითხარი. თუ ნახო სადმე, უთხარი, რომ მე იგი მიყვარდა; მიყვარდა განუსაზღვრელად, მიყვარდა ცივ სამარემდის... აი ეხლაც თვალ-წინ მიდვას მისი ჟუჟუნა და სიცოცხლით აღსავსე თვალეები. ოხ, ღმერთო! ღმერთო! სად არის შენი სამართალი?.. (თვალს ცრემლი მოადგება. დიდი ჰაუზა. დათაქოს ჩაქძინება.).

**გიორგი.** ჩაქძინა საბრალოს... ავდგე თორემ ვაი თუ ჩამეძინოს და ვინ იცის რა მოხდეს. (ადგება და მაკიდასთან დაჯდება.) რა არის ადამიანის სიცოცხლე?.. იბრძვი არსებობისთვის, სიცოცხლისთვის, ებრძვი სხვათ, ებრძვი შენს თავს, ებრძვი ცხოვრების ამოცანებს; სადღაც მიილტვი, რაღასაც ეძებ, შეჭხარი ბუნების მშვენიერებას: შენი გული მომავლის იმედებით არის აღსავსე; ელოდები მას და ამ

ლოდინში ჰლევ სულსა. მიდინარ ცხოვრების გზაზე, ექვებ ბედნიერებას, აღფრთოვანებით მიიწევ წინ იმედებით აღჭურვილი: მოულოდნელად გადაგელობება შავი სიკვდილი და პირზე იმედებით მომდგარ ღიმილს, მსწრაფლად დაასვამს თავის ბეჭედს. მაშ რა არის ჩვენი სიცოცხლე? მხოლოდ წუთიერი თვალის გახელება და სხვა არაფერი?! საბრალო დათიკო... ამ რამდენიმე დღის წინად მხიარულად მღეროდა, თავის იმედებს შეჰხაროდა და ყოველივე ტანჯვას არაფრად იმჩნევდა; ეხლა? ეხლა მხოლოდ სიმწუხარეა გამოხატული ამის სახეზე; და სიკვდილი, ხომ აუცილებელიც ამ ჩრდილოეთში. მაშ რით განვირჩევით უბრალო ბალახისაგან, რომელიც გაზაფხულზე ჰყვავის და შემოდგომაზე სჰკნება? არაფრით! — გარდა იმისა, რომ ჩვენ მმოძრავ-მეტყველნი ვართ. ჰოი, რა ხარ ბუნებაე! ვინ არის იგი, რომ ამოიციოს შენი დასაწყისი ან დასასრული? არავის! არავის არ შეუძლიან. (ჰაჰუზა.) დასჯილნი უდანაშაულოდ, სადა ვლევთ სულს.— თუმცა ადამიანისთვის სულ-კი ერთია, სადაც უნდა მოკედეს, — მაგრამ მაინც სადაც აღიზარდე, იქ სულ სხვაა. თუმცა ყოველგან ერთნაირად დანავარდობს ბოროტება; შინ და გარედ, მაგრამ მაინც სიამოვნებით ჰკედები, როდესაც იცი, რომ მშობელი ქვეყანა გადაგაფარებს თავის კალთას, და ჩაგიხუტებს ვით დედა შვილსა. ეჰ, ღმერთო!.. ვიცი ეს ყველა, ვიცი კიდევ ბევრს ვიტანჯები, მაგ-

რამ იმედი!... იმედი კვლავ ბრწყინავს, ის უკვდავია. მე დარწმუნებული ვარ, რომ აღვადგენ ჩემ სიმართლეს... (კვლავ მაგიდასთან ზის. ფიქრებში წაყვას სთვლემს. ამ დროს მეორე ოთახში ისმის ხმა სახლის-პატრონისა: „ქრისტე აღსდგა!“ ამ ხმის გაგონებაზე გიორგი წამოდგება და მივა დათიკოსთან.) ჰა, მითხარი რამე დათიკო?... სძინავს... ღმერთო ჩემო, მაშ ვსრა ხმა იყო?

კამოსულა მეორე.

იგინივე და სახლის-პატრონი.

**სახლის-პატ.** (შემოდის სანთლით ხელში და სტაფზე მიაკრავს სანთელს.) ქრისტე აღსდგა შვილებო. როგორ არის ავად-მყოფი?

**გიორგი.** ოჰ, თქვენა ბრძანდებით? სძინავს, ეხლა-ხანს ჩაეძინა.

**სახლის-პატ.** მე ვარ შვილო. ეხლა ეკლესიიდან მოვდივარ—შეგეწიოთ იმის მადლი,—ველარ მოვითმინე შვილო ლიტონიის გათავებამდის, და წამოველი. გარედ საშინელი ქარი ჰქრის და მშრალი ყინვაა.

**დათიკო.** (ძიღში.) დედა.. გიორგი წყალა... ოჰ!..

**სახლის-პატ.** როგორა ხარ შვილო?

**გიორგი.** თავი დაანებეთ თუ ღმერთი გწამთ, სძინავს.

**სახლის-პატ.** ვგონებ რაღაცა სთქვა თქვენს ვნახე.

**გიორგი.** არაფერია, დაანებეთ თავი, დედას იგონებს.

**სახლის-პატ.** საწყალი, ეხლა ამის დედა, რომ გაიგებს თავის შვილის უბედურებას, ვინ იცის რა დაემართება. მისწერე შვილო მაგის დედას, რომ ავად არის ეგა?

**გიორგი.** თითონ შემეხვეწა, რომ არ მიმეწერა.

**სახლის-პატ.** იცი რა ვითხრა შვილო: ეხლა. რომ მოვდიოდი გზაში ერთი პოლიციელი შემხვდა, რომელიც სახლების ნომრებსა შინჯავდა და ვიღაც გადმოსახლებულსა კითხულობდა. გვარი-კი არ დამახსოვდა, მაგრამ მაინც უთხარი, რომ ჩემსახლშიაც დგანან გადმოსახლებულნი მეთქი და სახლის ადრესიც მივეცი. განთავისუფლების ქალაქი არისო მის სახელზე, დილას აქეთ არის ვეძებ და ვერ მიპოვნიაო. და წავიდა მოსატანათა საპოლიციო სამმართველოდან. მართლა შვილო რა ეწერა დილას, რომ ფოსტით წერილი მოვიდა მაგის სახელზე?

**გიორგი.** უბედურება, უბედურება.

**სახლის-პატ.** მაინცა შვილო?

**გიორგი.** ადამიანს უბედურება უბედურებაზე ემატება. ამას ერთი გათხოვილი და ჰყავს იმისაგან იყო, დედის სიკვდილს აცნობებს.

**სახლის-პატ.** ვუი საწყალი... ვუი საწყალი.

(იტყრებლება) ეხლა ეგ, რომ გაიგოს ამ საწყაღმა, ხომ სულ გადაირია. ღმერთო დაილოცოს შენი სამართალი... ამისათვის გითქვამს შეილო?

**გიორგი.** აბა მაგას როგორ ვეტყვადი.

**დათიკო.** (ძიღში ხრიალებს.) ვაი... წყალი... (გიორგი ჩაყლაპებს წყალს.)

**სახლის-პატ.** საწყალი როგორ იტანჯება. სა-  
ცოდავი... ეჰ!.. (იტყრებლება.)

**გიორგი.** სულ რამდენიმე წუთსაც ძლივს იცოცხლებს.

**სახლის-პატ.** არა უშავს-რა შეილო, გულს ნუ გაიტეხ, ღმერთია მოწყალე. ყველანი სიკვდილის შეილები ვართ: წავიდე ლამპარი ავუნთო ხატსა. (მამაფაღი.) მართლა შეილო, წედან რაც დამავალე გიყიდეთ, სამზარეულოშია. ეხლა წავალ და მოვხარშავ. (გადის. ჰატარა ჰაუზა.)

**გიორგი.** ნეტავი ვიცოდე ვისი განთავისუფლე ბის ქალაღდი უნდა იყვეს... ვინ უწყის ვისია. განა ცოტანი არიან გაღმოსახლებულნი ჩვენს გარდა?..

**დათიკო.** (ამ ჯაჰარაკის დროს ძღზე სუნთქავს, თვალებს აბრიალებს და ნეღ-ნეღა ღგება. გიორგი შეჰყელება.) მე არ მეშინიან შენი! რას მიბრიალებ თვალებსა?! მე შენ დაგადრჩობ!.. (ეეღში სწვდება გიორგის.) შე ტარტაროზო! ...კარებიდან ვერ გაბედე და ფანჯარიდან შემოხვეღ?!)

**გიორგი.** (ძღივს გაშეებინებს ხელსა.) ღმერთო

ჩემო. რა ემართება ამ კაცსა? მთლად დაჰკარგა გონება. ეს მე ვარ დათიკო, შენი გიორგი. ველარა მცნობ?

**დათიკო.** გამიშვი!.. გამიშვი! მე ვაჩვენებ იმას თავის სეირსა. ნახე, ნახე როგორ გაძვრა თანჯარაში. (ხარხარებს.).

**გიორგი.** დათიკო გონს მოდი.

**დათიკო.** დაჩუმდით! დაჩუმდით, ნუ ჩხავით! მე ჩემ სისხლის მორევში არ გაცურავენბთ!.. რას დამჩხავით, მე არ მეშინიან თქვენი ბრკყალების. (წამოფარდება, გვეშვებინება გიორგის და გაქანება ფანჯარისაკენ, მაგრამ უკან-უკან წამოფა და უსულოთ ეტემა გიორგის მკლავზედ. ზარების რეკა სწუდება. ქარი კვლავ ქჭრას. ისმის კარების კაკუნი. გიორგი აიფვანს დათიკოს და ტახტზე დაწვეს.).

**გიორგი.** ჩაჰქრა ლამპარი მრავალ-ტანჯულ აღამიანის! მშვიდობით დათიკო. ეხლა ველარაფერი ტანჯვა ველარ შეგაწუხებს შენ. (ამ დროს შემოდის სახლის-პატრონი და თან პოლიციელი შემოჰყავს. რომელსაც ხელში წიგნი უჭირავს.).

გამოსვლა მესამე.

**იგინივე სახლის-პატრონი და პოლიციელი.**

**სახლის-პატ.** მობრძანდით, მობრძანდით. აი აქა სდგანან—თუმცა ერთი-კი ძალიან ავად არის საწყალი.

**პოლიციელი.** აქა სცხოვრობს დათიკო ცრემ-  
ლიშვილი?

**გიორგი.** აქ არის. რა გნუბაეთ?

**პოლიციელი.** განთავისუფლების ქალაქი  
შოვიტანე. გთხოვთ ხელი მოაწეროთ, რომ ჩემგან  
უკვე ჩაიბარეთ ეს ქალაქი. (წიგნიდგან კონვერტს  
იღებს და უნდა მისცეს. თქვენა ხართ?)


**გიორგი.** არა. აი ეს არის. იგი უკვე განთა-  
ვისუფლდა.

**პოლიციელი.** როგორ, გარდაიცვალა?! (მივა  
კონვერტს გულზე დაღებს დათიკოს და ცოტა მოშო-  
რებით „ჩესტი“ დადგება. სახლის-პატრონა სტივის.)

**სახლის-პატ.** ცოტა ადრე, რომ მოსულიყავით,  
შეიძლება მოგესწროთ კიდევ.

**გიორგი.** სიცოცხლეში ვერ ვპოვა იგი, მკვდარ-  
სა მაინც ამშვენებდეს წარწერა მისი. აწ განისვენე  
საუკუნოდ პატიოსანო ადამიანო!.. (ამ დროს ზარდა  
ეშუება.).

ფარდა.





3560 5 353.

89